საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია
GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



# კომუნიკაციების ეროვნული კომისია არ იყო უფლებამოსილი „ნტვ-პლუსი“-სთვის ავტორიზაციის გავლის შესაძლებლობა მიეცა

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის უწყებრივი რეესტრის მონაცემებით, Ď□□ პლუსი □ 2016 წლიდან საქართველოში თანამგზავრული ტრანზიტული მაუწყებლობის მომსახურებაზე ავტორიზებული პირია. ,,ნტვ პლუსის A განცხადებით, საქართველოში შემოსვლა არ არის მხოლოდ ბიზნეს პროექტი და მას ,,სოციალურ მისიადაც” განიხილავენ.

აღნიშნული კომპანიის ავტორიზაციის გავლასთან დაკავშირებით საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ განაცხადა, რომ *,,კომისიაში დანერგილი პრაქტიკის მიხედვით, პროცედურულად, ნებისმიერი დაინტერესებული პირი მარტივი ავტორიზაციის საშუალებით ავსებდა დეკლარაციას, მათ შორის უცხოური კომპანიის წარმომადგენელი და თუ ის კანონით გათვალისწინებულ ყველა დოკუმენტს წარადგენდა ავტომატურად*

*იღებდა ავტორიზაციას. კომისიამ ეს მიდგომა შეცვალა და დღეს უკვე უცხოურ კომპანიას მხოლოდ ავტორიზაციის საფუძველზე არ შეუძლია საქმიანობის დაწყება, იმისთვის, რომ კომპანია ქართულ ბაზარზე შემოვიდეს მან სამეწარმეო რეესტრში უნდა გაიაროს რეგისტრაცია, რეგისტრაციის დამადასტურებელი მოწმობა კი წარმოადგინოს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში.”*

,,ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ A საქართველოს კანონის მე-16 მუხლის თანახმად, ავტორიზაციის მსურველი იურიდიული პირის მიერ დეკლარაციაში სხვა ინფორმაციასთან ერთად მითითებული უნდა იყოს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრაციის შესახებ მონაცემები და თან უნდა ერთვოდეს აღნიშნული რეესტრიდან ამონაწერი.

,,მეწარმეთა შესახებ A საქართველოს კანონის მე-4 მუხლის თანახმად კი საქართველოში სამეწარმეო საქმიანობის განმახორციელებელი პირი, მათ შორის უცხო ქვეყნის საწარმოს ფილიალი, ვალდებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დარეგისტრირდეს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში. ამდენად, ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში ავტორიზაციის მსურველი პირიც რეგისტრირებული უნდა იყოს საქართველოში. შესაბამისად, ~~კომისია არ იყო უფლებამოსილი „ნტვ-პლუსი“-სთვის ავტორიზაციის გავლის შესაძლებლობა მიეცა.~~

არასწორია ის განაცხადიც, რომ კომისიამ შეცვალა პრაქტიკა ამ საკითხთან მიმართებაში და დღეს აქედან გამომდინარეა საჭირო ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან. 2016 წელსაც და დღესაც კანონმდებლობა ავტორიზაციის გასავლელად ცალსახად ითხოვს იურიდიული პირების საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრაციას. ~~კანონის მოთხოვნებს კი კომისია საკუთარი პრაქტიკით ვერ შეცვლის.~~

ამასთან, გავრცელდა ინფორმაცია, რომ კომისია Ḍ□□□□□□□□□□□□□□ მიმართავს წერილით კომისიაში წარმოდგენილ დეკლარაციაზე საქართველოს მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერის დართვასთან დაკავშირებით, დოკუმენტაციის წარმოუდგენლობა კი გამოიწვევს ავტორიზაციის შეჩერებას.

~~დღეს არსებული მდგომარეობით, დამატებითი ინფორმაციის წარდგენის დავალება - კერძოდ, მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრაციის გავლა და შემდგომ ამონაწერის კომისიაში წარდგენა, სამართლებრივ პრობლემას ვერ აღმოფხვრის~~, ვინაიდან რეესტრში რეგისტრაცია წარმოშობს ახალ სუბიექტს, რომელიც ვერ იქნება დღეს თანამგზავრული ტრანზიტული

მაუწყებლობის მომსახურებაზე ავტორიზებული პირი - ,,ნტვ-პლუსი".

საია მიიჩნევს, რომ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ სრულყოფილად უნდა შეისწავლოს აღნიშნული საკითხი, შეუჩეროს ავტორიზაცია თანამგზავრული ტრანზიტული მაუწყებლობის მომსახურებაზე საქართველოში ავტორიზებულ Ḍ□□□□□□□□□□□ ს და მიმართვის შემთხვევაში თავიდან იმსჯელოს ახალი - საქართველოში რეგისტრირებული სუბიექტის ავტორიზაციის საკითხზე.